ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET)

ელექტრონული სწავლების კონცეფცია

ელექტრონულ პლატფორმებზე სასწავლო კომპონენტის ამოქმედება

1. 2020 წლის 16 მარტიდან ISET-მა დაიწყო სინქრონული ელექტრონული სწავლება. ამისათვის 9-16 მარტს ჩატარდა ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. ონლაინპლატფორმა ZOOM (რომელსაც ინსტიტუტი აქტიურად იყენებს უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა ონლაინ შეხვედრების, ლექციების და პრეზენტაციებისათვის) შერჩეული იქნა როგორც ყველაზე ადექვატური პლატფორმა.

კონკრეტულად კი მისი ვებინარის (webinar) ფორმატი. სისტემას მართავს ISET-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) გუნდი, ლექტორი ხდება ვებინარის 'მასპინძელი' და შესაბამისი სტუდენტები წინასწარ უნდა დარეგისტრირდნენ, რათა დაესწრონ ლექციას. დასარეგისტრირებელ ბმულს ყველას უგზავნის IT.

(i) 9-14 მარტს ჩატარდა 4 ტრეინინგი-შეხვედრა სკოლის მთელს პროფესურასა (შიდა და მოწვეულ) და დამხმარე ასისტენტებთან, რათა უზრუნველყოფილიყო მათი ტექნიკური მზაობა.

(ii) გადახედილი იქნა ტექნიკური აღჭურვილობის მზაობა და შეფასდა ადექვატურად.

(iii) ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა:

a. ISET-ს ამ დრომდე ჰქონდა ZOOM-ის მცირე ფასიანი საბაზისო პაკეტი ონლაინ შეხვედრების გასამართად, სწავლებისათვის კი საჭირო გახდა 500 მომხმარებლიანი ლიცენზიის შეძენა სასწრაფო რეჟიმში.

b. 16 მარტიდან რამდენიმე დღე საგანგებო სიტუაციის გამოცხადებამდე სწავლება მიმდინარეობდა სკოლიდან და გამოიყენებოდა „ჭკვიანი დაფები". მას შემდეგ, რაც ლექტორების სკოლაში დასწრება შეიზღუდა, ისინი სახლებიდან აწარმოებენ პროცესს, თეთრი საწერი დაფების გამოყენებით (მოხდა სკოლიდან მათი ტრანსპორტირება ლექტორების დროებითი მოხმარებისათვის).

c. ლეპტოპები, რომლიდანაც ძირითადად ხდება ყველა ვებინარის დაწყება უკვე ჰქონდა აისეტს, მოხდა მათი მორგება ვებინარისთვის (დამატებითი სივრცული მიკროფონი), რომელთა მართვა ხდება დისტანციურად.

2. სინქრონული სწავლების რეჟიმი ასევე ითვალისწინებს სასწავლო მასალის დროულ და ეფექტურ მიწოდებას ლექტორის მიერ სტუდენტებისათვის სასწავლო მასალების MOODLE-ზე ატვირთვით. ასევე Moodle-ის საშუალებით ხდება ქვიზების და გამოცდების ჩატარება, მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული გამოცდების დასახვეწად, ასევე იგეგმება Moodle სერვერის გაძლიერება, რადგან მასზე დატვირთვა დიდი ალბათობით გაიზრდება.

ელექტონული სწავლების ადმინისტრირება

1. სასწავლო პროცესში ელექტრონული სისტემის დანერგვის და ადმინისტრირების კოორდინირება ხდება ISET-ის დირექტორის მიერ. ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი შედგება: ბექა გურუშიძე, ეკა ზერეკიძე და ნოდარ ივანაშვილი - IT; ზურაბ აბრამიშვილი (საბაკალავრო პროგრამის თანა-ხელმძღვანელი), ნინო მუხურაძე (აკადემიური საკითხები, სტუდენტებთან და ლექტორებთან ურთიერთობა), თეა ხაინდრავა (ადმინისტრაციული საკითხები);

2. ხარისხის კონტროლისა და სისტემის მუდმივი გაუმჯობესებისათვის, სწავლის დაწყებიდან 2 კვირაში (30 მარტს) ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვა ელექტრონული სწავლების მიმდინარეობით კმაყოფილების თაობაზე. ეს საშუალებას მისცემს სკოლას მოარგოს პროცესი სტუდენტთა საჭიროებას სადაც შესაძლებელია.